

გაზეთის ფასი:

ბაზაენით ტფილისში და გარეშე ადგილებში:	ბაზაენივლით:
პირთის წლისა — 7 მან.	— — — 6 მან.
ნახევრის წლისა — 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ.	— — — 2 —

საკლავო ვრთის ნუშრისა გაუზაენივლით — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევით.

დროება

საქონლის-მომწოდებელი მიიღება

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქი-შვილის და კამ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთაძის სახლში.
ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ ТИФЛИСѢ. ВЪ КОНТОРУ РЕДАКЦІИ ГРУЗИНСКОЙ ГАЗЕТЫ „ВРЕМЯ“.
რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი **ზანცხადება** სხვა და სხვა ენებზედ. მასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულაბრევიის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საკლავო და სალიტერატურო გაზეთი.

რედაქციისაზიანი.

ხელის-მოწერა „დროებაზე“ ყოველთ-ვის მიიღება. ამ გაზეთის დაბარება შეიძლება პირველისავე ნუშრიდან.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს „დროე-ბის“ ხელის-მოწერლებს, რომელთაც გაზე-თის ფული ჯერ არ მოუტიათ, შემოიტანონ ეს ფული.

შინაარსი. — პოლიტიკა: ანგლია. შრანცია. იტალია. საბერძნეთი. ავსტრია. ამერიკა. მეხიკა. სხ-ნა და სხვა ამავი. — ტელეგრაფები — შაიქუთი-საგან. — წიგნები: მოზარე. ძველი-ბიბლიოთეკის გან-ცხადება. — საბიბლიოთეკა ცნობა.

პოლიტიკა.

ანგლია. სარეფორმო ლიგის (კავ ში-რის) მიტინგი (მეყრილობა). — რიჩიო-ტი ბარიბალდის სიტყვა. ლონდონი-დან სანაციონალი გაზეთი სწორედ, 2 ოკ-ტომბერს: „რიჩიოტი ბარიბალდი დღეს ლონ-დონიდან მიდის ძაბრას და რამოდენიმე ათასი გირანქა სტერლინგი შიქეს თავის მა-მასთან. ეს ფული ბარიბალდის ჩუმათ მო-უგროვებს თავის მეგობრებმა ლონდონში და შოტლანდიაში; ფულთან გაატანეს სარეფორ-მო ლიგის აღრები, რომელშიაც უცხადებენ ბარიბალდის თავის გულმტკიცებულობას, რომ უკანასკნელს იმის გალაშქრებას რომზე წარ-მატება არ მიეცა. ადრესში აგრეთვე ის იმე-დიც არის გამოცხადებული, რომ მეორეთ გა-ლაშქრებას უფრო კარგი წარმატება ექნება, თუ ის კიდევ ბარიბალდი იქნება. იქნება სარეფორმო ლიგის წევრებს იმდენი ფული ვერ შეეგროვებინათ, რამდენიც საჭიროა ბარიბალდის განზრახვის ასასრულებლად, მა-გრამ ამის მაგივრათ თავისი პატივის ცემა მა-ინც დაუმტკიცეს ბარიბალდის იმითი, რომ იმის შვილს გაუკეთეს დემონსტრაცია სენ-ჯემს-გალლში. აქ რომ ორატორებმა სიტყ-ვები წარმოასტუმრეს, იმათში ძალიან გაკიცხეს ახლანდელი იტალიის მინისტრი რატაცი, პა-პა და ნაპოლეონი. შემდეგ წამოდგა რიჩიო-ტი ბარიბალდი და იმას დიდი ტაშის-კერით მიეგება იქ დამსწრე ხალხი. შევლანი ზეზე დგებიან, შორიდგან უქნევენ შლაპებს და ხელცანაცებს. როდესაც ხმაურობა შესწყ-და, რიჩიოტი დაიწყო ლაპარაკი: „მოწყალე-ნო ხელმწიფანო და ხელმწიფანო! მათს აღარ შეგაწყენთ იმ საგანზე ლაპარაკითა, რაზედაც ასე მტკვერ მტკველებით დახლოდნულათ ორა-ტორებმა ილაპარაკეს ჩემზე წინ. ახლა მინ-და ორიოდ სიტყვით მადლობა შემოგწიროთ. ეს დღე იყო, როცა მოხდა ის ბრძოლა, რომელმაც იტალიის ერთობა დაამყარა და სამ-ხრეთ-იტალიის მზრები განათავისუფლა. ამ ბრძოლამ საუკეთესო თვალი ჩასა მიტორ-მმანსუელის გვირგვინში. მოლტურნოსთან რომბრძოლა იყო, იქ ოციათასმა ვოლონტერმა დაამარცხა ორმოცი ათასი კაცი ბურბონის ჯარისა. მე შემძლიან ვთქვა, რომ ეს ბრძო-ლა თქვენის შემწეობით მოვიგეთ. ამას მამის

ჩემის სიტყვებით ვამბობ. იქნება არ დაგი-წყებიათ, რაც მამაჩემმა სოუტემბრონში სთ-ქვა: „მეგრჯერ გავხდი ანგლიის თანაგრძნო-ბის მოწამე ჩვენს საქმეში. ამ თანაგრძნობის მადლობით ჩვენ შევასრულეთ ის განზრახვა, რომლისთვის უხვად ვღვირდით სისხლს სამხ-რეთ-იტალიის მზრებში (ტაშის ცემა). რო-ცა მამა ჩემი ანგლიაში იყო, იმან ბევრჯერ გამოაცხადა, რომ 1860 წლის ლაშქრობაში ანგლიის ხალხის შემწეობით გაემარჯვებო-თურამ ეს შემწეობა არა, იქნება ახლა ვეღარც კი შემოგწირადით მადლობას, არამც თუ მა-მის ჩემის მაგივრად, და ჩემ მაგივრად, არც ჩემის თანამოქალაქეების მაგივრად (ტაშის-ცე-მა). თქვენ ალაღინეთ ღირსება და მნიშე-ნელობა დიდის ქვეყნისა, — თუმცა იტალიე-ლი ვარ, მაგრამ ამას მინც პირდაპირ ვაცხა-დებ; ჩვენს ქვეყანაში მრავალი დიდი და დი-დებული კაცი ყოფილა; არამც თუ მარტო წარსული ჩვენი ცხოვრებაა გაბრწყინებული დიდებითა; არამედ მომავალშიაც ბევრი დი-დება მიგველის, თუ რომ იმ ჭირისაგან თავი ვიხსენით, რომელსაც პაპობას უწოდებენ. (შვირილით ტაშის ცემა). ჩვენი ამორჩეული კაროლი კარგი ვერ გამოგვადგა. (ზაიგონეთ, გაიგონეთ). მამაჩემი 1860 წელს სრულებით გულდანდობილი იყო მიტორ-მმანსუელზე. ის კაროლს ეძახდა: il Re galantuomo (ძა-როლი პატოსანი კაცია). ახლა კი არ ვიცი, თუ რა აზრის არის მამა ჩემი; მხოლოდ ეს ვიცი, რომ ყველა იტალიელი ამბობენ, მა-მა ჩემი ამ ჭამად ძალიან სცდება. (ზაი-გონეთ, გაიგონეთ!) მოწყალენო ხელმწი-ფანო და ხელმწიფენო! ანგლიურს ენაზე კარგათ ვერ ვლაპარაკობ და ამის გამო-მეტს აღარ ვიტყვი. მანშეორებით ვმად-ლობთ იმისთვის, რაც ჩვენ სასიკეთოთ მო-იქმედეთ. ჩემი სამშობლო თქვენ ამოიყვანეთ იმ დამცირების ჯურღმულიდან, რომელში-აც ის ჩაფულდა იყო. შევლა ეს თქვენი შემ-წეობით მოგვეჩუქა. ეს კიდევ არაფერი. თქ-ვენ ახლა დაიწყეთ ის დიდებული საქმე, რომ იმის გამოისობით ხალხებში ძმური ურთიერ-ობა უნდა დამყარდეს და ააცა არის კიდევ ასრულდება ამისთანა დიდებული საქმე. (შვი-რილით ტაშის ცემა). მოწ. ხელ. ეს ჭამი, როცა თქვენ მძღვეთ წერილში გამო-ცხადებულს თანაგრძნობას მამა ჩემთან წსადებათ, საუკეთესო ჭამი ჩემს სიტუ-აცხლეში. მამაჩემს უნდოდა თავის დაწყე-ბული საქმე რომის განთავისუფლებით დაე-გვირგვინებინა და კიდევ ვიცი, ახლა-ის რა გრძობაშია უნდა იყოს. (ტაშის ცემა). მამაჩემი იმ პირებმა ჩასვეს ცხენში, რომლებზედაც გულდანდობილი იყო. მიცი, რომ ეს ადრესი ცხოვრების მომცემი მალამო იქნება იმის გაზეთილის გულისთვის. (ტაშის-ცემა). ამ ადრესს კმაყოფილებით გადაეცემ მა-მა ჩემს, იმისთვის რომ მე ვარ იმისი შვილი. მმადლობთ იმ ყურადღებისთვის, რომელიც მუდამ ჩემზე გქონდათ მოქცეული, მინამ აქ ვიყავ და მინამ ამ ძნელს მამიჩემისაგან მონ-დობილს საქმეს ავასრულებდი. ხეალ მამაჩემ-თან განვეგზავრები და ამ თქვენს ადრესს სამს დღეში იმას გადაეცემ.“ (შვირილით ტაშის ცემა).

შრანცია. პარიჟი 26 სექტემბერს (8 ოკ-ტომბერს). ხმა ისმის, რომ იმპერატორმა ნაპო-ლეონმა მოიწონა სახელმწიფო მინისტრის რუესაგან შედგენილი პროგრამა შესახებ შრანციის პოლიტიკისა. ამ პროგრამაში ნათ-ქვამია, რომ შრანცია იტალიის ეხლანდელ საქმეში არ უნდა გაერიოს. მხლანდელი რო-მის პაპს პიო IX ისევ საერო უფლება ექნე-ბა რომში, მაგრამ იმის მოადგილეს კი ჩა-მოკრთმევთ ესა და მხოლოდ სასულიერო უფლებად ღარჩებათ. შრანციის შინაგანის პოლიტიკის შესახებ მმართველობამ ეს უნდა მოაქმედოს, რომ სალიბერალი რეფორმების მოხდენას უნდა შეუდგეს და სამხედრო პრო-ექტს შესცვალოს, მაგრამ ჯარის მომატება აღარ იქნება.

გაზეთი „Opinion Nationale“ და პრინცი ნაპოლეონი. მისი მარსელის გა-ზეთში ამ სახით ხსნიან იმ პოლიტიკას, რომ-ლის მიყოლაც უფ. ბერუმ გაზეთის „Opini-ou Nationale“-ის უმთავრესმა რედაქტორმა დაიწყო ამ უკანასკნელს დროში. „თუ თვალ-ყური ადევნეთ, თქვენ გაიგებდით რანაირათ გამოსცვალა თავისი ლაპარაკი უფ. ბერუსაგან გამოცემულმა გაზეთმა „Opinion Nationale“ მას აქეთ, რაც პრინცი ნაპოლეონი პა-რიჟში დაბრუნდა, ამ გაზეთის ცნობა აღარ შეგიძლიანთ. ამას წინათ ეს გაზეთი შრან-ციის პრუსიასთან საომრათ აქეზებდა, ახლაკი ამბობს, რომ იმან პრუსიას თავი უნდა დაა-ნებოს და რუსეთზედ გაილაშქროს. ზემოხ-სენებულმა გაზეთმა აი ეს ასე რათა ჰქნა? ამ კოტა ხანში პალე-როიალში სადილკაცო სა-დილი გამართეს და იმ სადილზედ ბევრი მა-დალი ხარისხის ჯარის კაცი იყვნენ მიწვეუ-ლნი. იქ დაიწყეს ლაპარაკი ეხლანდელი ფრან-ციის მდგომარეობაზედ. მართა სთქვა, რომ პრუსიასთან ომი უნდა დაიწყეთ. დაგიანება აღარ იქნება. შრანცია მეორე ხარისხის სა-ხელმწიფოთ განდობა და ამ მდგომარეობიდან უნდა გამოვიდესო. თუ ბევრი დროება გაიე-ლის სხვა ხალხები ცუდათ დაგვიწყებენ ჩე-ენ ცქერასო. ამის გამო პრინცმა ნაპოლე-ონმა დაიწყო გაცხარებით ლაპარაკი. იმან სთქვა, რომ დიდი პოლიტიკური შეცდომი-ლება იქნება, თუ პრუსიასთან ომი დაიწყე-თო. ხიფათს ბერლინიდან კი არ უნდა მო-ველოდეთ, პეტერბურგიდან უნდა მოველო-დეთო. ორი დღე გავიდა და გაზეთმა „Opini-ou Nationale“, პრინცმა ნაპოლეონმა რომ აზ-რების გამოთქვა, იმისი გამოცხადება დაიწყო.

პრუსია. საჯარო გაზეთის შემდგომმა სტატიაში პარიჟელი ძლიერ დააფიქრა: „უფალ-ნო, როდემდის გინდათ, რომ ვითმინოთ? რო-დის გათავებთ მაგ ჩვენს გაჯარებას? როდის მოვლებ ბოლო შრანციის გაზეთებთან ჩე-ენი მამულის დაცივას და იმათს ბაქაობას. შოველს ჩიტს რომ ყუმბარებს არ ვესვრით, იქნება იმისთვის გგონიათ, რომ ჩვენ იარაღის ხმარება დაგვიფიქდა. ჩვენ ვალი გვექონდა ხალხებში ავსტრიის და შრანციის ხელ-მწიფეების ერთმანეთის ნახვით აღბრული თქ-ვენი ფანტაზია გაგვეფანტა და საქვეყნოთ გამოგვეცხადებინა, რომ ჩვენ თქვენს დიკტა-ტურას ვერ ავიტანთ. ჩვენ ეს ჩვენი ვალი აღვასრულეთ, რაც გვინდოდა, ის მოვიქმე-

დეთ. მაგრამ ის კი არ გვესურს, რომ პარიჟის გაზეთების ყოველს წეროლმანს უწესოებას თვალ-ყური ადევნოთ. მაგ ყვირილა არსე-ბებმა რამდენიც უნდათ ილრიოლონ. ბული სრულებით არ მიგიწევს, რომ მოკლე მხედ-ველობის მქონებელის პარიჟის გაზეთების და-ცივას პრუსიასზე ყოველ დღე თვალი ვადე-ნოთ. ჩვენ უბრალო თავის კეთილშობილს ნადირათ არ დავსახავთ. დე იყვირონ იმათ, მინამ ხმა ჩაუხრჩობდეთ. იმათი დაჩუმება აღ-ვილია, ისინი, შეიძლება, ყმაწვილებივით, ხი-ლით დაჩუმდეს კაცმა. მაგრამ რადგან ხალხ-ში გავლენის მქონებელნი და თვით მთავრო-ბის გაზეთები დაცივასთან კიდევ ემუქრები-ან პრუსიას; რადგან შრანციის მმართველობა დღე და ღამ ამზადებს შრანციის საომრათა, და რადგან გაზეთებს აცნებას აძლევს, გამოსთქვან, რომ ეს მზადება პრუსიის წინააღმდეგ ხდე-ბაო, ამისათვის აღარც ჩვენ შეგვიძლიან გაჩუ-მება. ამ შემთხვევაში ორიოდ სიტყვის მეტს არ ვიტყვი: ყმაწვილი აღრავართ. ყმაწვი-ლობა რომ შეგვეფროდეს, შრანციის სასწაე-ლებლებში შევიდოდით და ბაქაობას იქ ვი-სწავლიდით. ჩვენ გამუდმებით გვიქადაგებენ შრანციის ჯარის სიძლიერეს და სიმამაცეს. არც ჩვენ ვიქვეყნობთ ამში. მაგრამ მუდამ იმას გვიყვირიან, რომ შრანციის მხელილი ძლიე-რიოა და ჩვენთან საომრათ ათასობით ტი-ურკოსებს ამზადებენო. ჩვენ არავის არუე-პირებთ თავს დასხმას, მაგრამ არც სხვისი თავ-ზე დასხმისა გვეშინიან. ჩვენ არ გვინდა შრან-ციის თავისი საქმე დაუშალოთ, და არც ვე-ცდებით იმისი საქმე რითიმე გაუძნელოთ. ჩე-ენ არ გავერევით იმისთანა საქმეში, რომლის შესრულებაც მხოლოდ შრანციის ვალია, რომელიც იმისი საკუთარი კუთვნილება არის. შრანციამ თვითონ განაგოს თავისი სვე, რო-გორც ჰსურს; მაგრამ ჩვენც უფლება მოგე-ცენ, ჩვენი საქმეები თავისუფლათ ვაწარმო-ვოთ. ჩვენ არა გვწადს პარიჟის ვკითხოთ, ნე-ბა აქეს, თუ არა ბერმანას ბერმანია იყო-სო. ჩვენ არ გვინდა უფ. ღრუენ-დე-ლუისსა ვთხოვოთ, ნება მიეცეს პრუსიას, რომ ის დიდ სახელმწიფოთ შეირაცხოს. მგრეთვე ჩვენ არ ესაჭიროებთ, რომ იმპერატორის ერთგუ-ლობა მეგობარმა დარიგება მოგეცეს რინის სამზღვარზედ. ამას ყველაფერს ჩვენ თვითონ შევასრულებთ, სხვისი შეწვევა არ გვინდა, და თუ ვინმე ისურვებს ჩვენს საქმეში გარეგანს, უთუოთ უარყოფთ ამას და თავიდან მოვი-შორებთ. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ რაც აქ ვთქვით ეს საკმაო იქნება და შრანცია უფრო გონივრათ მოიქცევა; ვიდრე ამხედრებული პა-რიჟის გაზეთები. თუ არა და, მაშ ერთი ერ-თმანეთი გამოვცადოთ, შევიტყოთ, ვინ უფ-რო ძლიერია. თუმცა თქვენ რეველვერის მგ-ზავსი ზარბაზნები გაქვსო, და ათასობით ტი-ურკოსები დაამზადეთ, მაგრამ თუ გვენადეთ, შევიბნეთ, ომი დაიწყეთო.

იტალია. როგორც სჩანს ახლანდელი იტა-ლიის მდგომარეობა დიდი-დღე სასაშიშრო ჰხდება. მართალია, ჯერ კიდევ რომში განდ-გომილება არ მომხდარა და პაპა არ გაქცეუ-ლა; მაგრამ რომის მზრები ასეთს მდგომარე-ობაში არიან, რომ ზოგან შეტაკება მოხდა

და სისხლი დაიდგა; იმისი დაშორება ადვილიც აღარ არის. დაწერილობით ამბობს რომ მოგვითხრობენ, იმაში ძნელია მართლისა და ტყუილის გარჩევა. მაგონებს „Le Temps“ კორესპონდენტი გვარწმუნებს, რომ ხალხის ადგომა რომის წინააღმდეგ არ მოსპობილა, მარბალდის დატუსაღებამ ის ვერ შეაყენა. ხალხის ადგომა, როგორც ჩივიან, ჯერ ახლა იწყება. მარბალდის და იმისი წარმომადგენლების გამოცხადება, რომელიც იტალიის გაზეთებში იბეჭდებოდა, ამ ხალხის ადგომას ეთანხმება. ამისი მოკლედ მმართველობა იძულებული არის, რომ ძლიერ გაფრთხილდეს. რატაცი 15,000 კაცს შლორენციში არ ამყოფებდა, თუ საფუძველი რომ არა ჰქონდეს. სიძულილი და ხალხის მომდურაობა შრანციანზე, ანუ უკეთეს ვითარებაში იმპერატორის მმართველობაზე, რაც ხანი გადის, უფროც ცხოვრდება. ეს სიძულილი შეეცნება იტალიის მმართველობასაც, რომელიც შრანციის ერთგულია. იტალიის მმართველობა თავის ჩინოვნიკების ერთგულობაზედაც არ არის დარწმუნებული. მხლა რატაციის ისე არა აენებდარა, როგორც ისა, რომ ამისთანა შემთხვევაში პაპის მმართველობას რამდენიმე რომიდგან გამოსულნი პირნი მისცა. იქვე არ უნდა ეს იმისათვის აქნევის იმას, რომ მმართველობაზედ ხალხს ნდობა აღარა ჰქონდეს. ხალხი საშინლათ ჯავრობს ამ საქმის გამოისათ და მმართველობა ევროპით აჯერებს ხალხს თავის კეთილს აზრზედ იტალიის შესახებ. ყველა იმისი სიტყვა ხალხს უფრო აღელვებს, როგორც ცეცხლზედ ერობა დასახათ და უფრო აენთოს, ისინი ისე ენთებიან. „მოვორდეთ შრანციას“. ასე ამბობენ იტალიელები; და თუ შრანციის მმართველობამ სექტემბრის კონვენცია ჩქარა არ გამოცვალა და რატაციმ ხალხის გული არ დაამზიდედინა პაპის უკანასკნელი მარბების დაპყრობით, მაშინ რატაციას დღეები დაითვლება.

— შ. რატაციის სამინისტრო გაზეთში აირა სწერია: „მარბალდის მომხრეების გონება-მართელი აზრი და პატრიოტობა არწმუნებს სამშობლოსად და მთავრობასად, რომ ცუდი არა მოხდებარა. როგორც ისინი, მთავრობაც აგრეთვე მისწრაფის რომში, რომელსაც განვმორბივართ ტრაქტატების ძალით, მაგრამ იმედია, ისევე მალე მიუახლოვდებით, იმისგამო რომ შერაპაში ჩქარა მოხდება ცელილები და დაარსდება ახალი კავშირი. რომი ყოველს შემთხვევაში მალე გახდება ჩვენი; მინამ კი ჩვენ არ შეგვიძლიან არც კონვენცია დაეარდეთ და არც ურთიერთ-ხალხოებითი მორიგება.“—მთავრობის მოწინააღმდეგე გაზეთები დიდს სიცხარით ლაპარაკობენ მარბალდის დატყვევებაზე. შრანცი გენუეზელს გაზეთში აირა დაბეჭდილი: „ხომ არ გინდათ შეიტყუოთ, თუ რისთვის დატყვევებს მარბალდი? აი რისთვის. პარიჟიდგან მოვიდა შრანციის მთავრობისგან გამოგზავნილი კურირი და თან დებეზა მოიტანა. ამ დებეზაში ეწერა ბრძანება, რომ სჯულიცა და კონსტიტუციის დაწესებულებანიც დაარღვიეთო. იტალიის პირველს მინისტრს ერთი ნატამალი სინილისი კიდედ დარჩენოდა და ამისგამო უპასუხა, რომ თავისუფლების მიმნიჭებელი სჯული და დაწესებულებანი იტალიისა ნებას არ გვაძლევენო, რომ შრანციის მთავრობის ბრძანებით ვიმოქმედოთო; მაგრამ კურირმა მიუგო: „მოწ. ხელო. რამდენათაც გამოვიდა, თქვენ პრუსიელები არა ხართ და ამისთვის თქვენი კუთხით მოქმედება ჯერ კიდევ არ შეგიძლიანთ ისე, როგორც მოქმედებენ საღოვთა ბრძოლის მომგებნიო.“—მარბალდი მართლაც დაიჭირეს.

ამერიკის საელჩო და მარბალდი. მარბალდის დატუსაღებამ კინაღამ არ წასხნება შეერთებული-შტატები იტალიისთან. შლორენციიდან იწერებიან, რომ როგორც კი შეერთებულის-შტატების ელჩმა გაიგო-

ვო მარბალდის დატუსაღება, მაშინვე წავიდა რჩევის პრეზიდენტთან (თავს მდგომარესთან) და გამოუცხადა, რომ თქვენ ნება არ გქონდათ ამერიკის მოქალაქის სიმართლედ დაგვიგრაოთო. ეს რამდენიმე წელია მას უკან, რაც მარბალდი ირიცხება დიდის რესპუბლიკის მოქალაქეთ. როგორც ამბობენ, უთ. რატაციმ მოსთხოვა ამერიკის ელჩს წერილით გამოცხადებული უკაცოფილება, მაგრამ ელჩმა ვერაასრულა ეს მოთხოვნა, რადგანაც გრძობდა, რომ ამის უფლება არა ჰქონდა.

საბერძნეთი. პან დიოსა და საბერძნეთის საქმეების მდგომარეობა ამ ჟამად. 23 სექტემბერს ათინიდან სწერენ გაზეთში Avenir National „მანდიდგან რომ ამბავი მოგვივიდა, ის თერთმეტ სექტემბერს აქეთარის გამოგზავნილი; ამ რიცხვს აქეთ ყველა ადგილებზე ისევე ვაიმართა ომიანობა. მმერ-ფაშას ციხეებში ჰყვანდა თავისი ჯარი დამხადებული და ელოდა, თუ რითი გადასწდებოდა მოლაპარაკება რუსეთსა, შრანციასა და იტალიის შუა. იმან ვეღარ მოუტადა ამ მოლაპარაკების დაბოლოვებას და ისევე ბრძოლა დაიწყო. მაგრამ იღბალმა უმტყუნა: ასკიფოსთან იმან უკან დაიწია, ძალიერატთან კი სრულებით დამარცხდა. მანმეტ-ფაშას უნდა მანდიდგან ძერაშიაში გასულიყო, მაგრამ განდგომილებმა მიღვეწეს იმისი ჯარი და, მეტი გზა არა ჰქონდა უკან უნდა დაეწია. ამრიგათ ოსმალებს შუა და კანდიელებს შუა ბრძოლა ისევე ვაიმართა და, ვინ იცის, როდის გათავდება. მანდიელები ისევე გამხნიდნენ, როცა შეიტყეს, რომ იმათმა ხალხებმა ოსმალებს უფენებლად თავი დააძვრეს და შრანციის, რუსეთის და საბერძნეთის ხომალდებით უფენებლად გაეიდნენ თავისუფალს საბერძნეთში, სადაც გულმხიარული მასპინძლობა მიეღისთ. სერტაში რომ გაზეთი გამოიცემა, იმაში აცხადებენ, რომ ცეცხლის გემი „Union“ ნიადაგ დადის მანდიასა და საბერძნეთს შუა და ამ ჟამათ ის აქ მივიდოდა და გამოიყვანა 400 სული სახლობა განდგომილებისა მანდიდგან, სადაც წინეთ გადაიტანა სამხედრო და სასაქმო სამზადისი. ამ გემითვე მოვიდა ერთი განდგომილების მხედართ-მთავარი დმეტრო-მარაკო დიდის მინდობილებით საბერძნეთის მთავრობასთან. ახლა ათი ათას სულამდე ირიცხება, რაც სახლობა მანდიდგან საბერძნეთში გადაუყვანიათ. რასაკვირველია, ცოტა ზრუნვა არ დასჭირდებათ, ამ საწყლების შეწვენას; იმ საწყლებს თითქმის ფეხს-ცმელებიც არა აქეთ; მაგრამ იმათ სასარგებლოთ თითოეული ბერძენი აძლევს რაც კი შეუძლია. მმართველობა ყოველს ღონისძიებას ხმარობს იმათს შეწვევისათვის და თვითონ ხალხის შემწეობით იმედია, რომ საწყალს კანდიელებს თავისი ბედ-კრული მდგომარეობა შესულავათდებათ. მანდიელების შესაწყენელათ რომ კამიტეტები დაარსდნენ, ისინი ძალიან ზრუნავენ იმათის მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის. შოვლის მხრით ფული შემოდის. შესსაცმელებიცა და სხვა მიუცილებელი საქიროება ცხოვრებისა ბევრი მოგროვდა. ყველა კარგათა გრძობს, თუ რამდენი გაჭირება გამოუვლიათ ამ საწყლებს საზოგადო საქმისათვის. მესსალაში, პირაში და სერბიაში ჩუმი მღელვარებაა. მსმალეთის მთავრობა ყოველს ღონისძიებას ხმარობს, რომ რითიმე მოსპოს ამგვარი მღელვარება. ბელგრადიდან იწერებიან, რომ აქ ყველგან ძალიან გმზდებიანო და პრაივიციში გაზეთის „მინსაინდრის“ სიტყვით, ახლის ყალიბის ზარბაზნებს ასხმენო. ძალიან ემუქრებიან მსმალეთის იმპერიას საზღვრის ხალხებს უნდათ სრულებით განუდგენ. საბერძნეთს მეროეთ არ შემთხვევა ამისთანადრო სრულის თავისუფლების მოსაპოვებლოთ, სანაციონალო გვარდია სამხედრო ვარჯიშობაშია. ეს ჯარი პატრიოტული გრძობით სავსეა და კარგი აფიცრებიცა ჰყავს. მაგრამ აქ

ყველა იმ აზრზეა დარწმუნებული, რომ ნამდვილს ნაციონალურს ძალას მთელი ხალხის შეიარაღება შეადგენსო.

პსტრია. პოლ შელი დეპუტატების პრაგამა. სახალხო გაზეთში სწერენ მენდიდგან, 2 ოკტომბერს: „პოლ შის დეპუტატების წინამძღომელმა, რეისრატის ვიცე-პრეზიდენტმა ზემლიაკოვსკიმ გამოსცა პროგრამა, რომელშიაც ნაჩვენებია აესტრის შინაგანი და გარეგანი პოლიტიკის საფუძველები. ზემლიაკოვსკი ამ პოლიტიკის პოლშურათ სჯის. იმის აზრით აესტრია თავისის შინაგანის და გარეგანის პოლიტიკის საფუძველათ უნდა დასდეს შემდგომი პრინციპები: ლიბერალიზა და თანასწორობა ყველა აესტრის ქვეშევრდომ ხალხთა. შემდგომი უფ. ზემლიაკოვსკი ამბობს, რომ პრუსისა და რუსეთის აესტრის მტრები არიანო და ამისთვის აესტრია დასავლეთის სახელმწიფოებთან კავშირის დაჭერა საქნელი აღარ არის მას აქეთ, რაც იტალიის საქმეგადსწყდა და რაც აესტრია იგრძნო, რომ პოლ შის აღდგინება თვითონ იმისის არსებობისათვის საჭიროა.“

ამერიკა. ამბავი შეერთებული-შტატებიდგან. 18 სექტემბრიდგან ამერიკის გაზეთებში აცხადებენ, რომ ორი უმთავრესი საპოლიტიკო პარტია ემზადებოდა ერთმანერთთან ბრძოლის გამართვის იმ წამს, როგორც კი ახალი კონგრესი გაიხსნებოდა. მაგონებს, რომ ანდრუ ჯონსონის ბრძანებით ამორჩევაში გაირიონ ის მოქალაქეები, რომელთაც კონგრესმა წართვა ამის სიმართლე.

— ნუ-იო რკიდგან 21 სექტემბერს იწერებიან, რომ „Herald-ში“ დაიბეჭდა ძლიერ მკაცრი სტატია, პრეზიდენტის წინააღმდეგ. ამ გაზეთის სიტყვით, უფ. ჯონსონი არცხვენს მხარეს და საქმეს ისე ჰხდის, რომ საჭიროა ახალი საკონსტიტუციო პარტია დაარსდეს. ინდოეთლები ითხოვენ, რომ რესპუბლიკის ჯარი იმათ საზღვარს მოშორდეს და სმეკილის გზას (რკინის გზას, დიდი ოკეანის პირველ) თავი დაანებონ.—მენერალი შერიდანი, როდესაც მაშინგტონში მიდიოდა, ხალხი ალტაცებით გაეგება გზაზედ.

მხსიპა. მაქსიმილიანეს წიგნი, მხსიკაში მყოფ აესტრის ელჩთან მიწერილი. ამ ცოტა ხანში ფოჩტამ მოიტანა ნუ-იორკიდგან მაქსიმილიანეს წიგნი. ეს წიგნი იმას ორი დღის წინათ დაუწერია, ვიდრე დასჯიდნენ, მხსიკაში მყოფ აესტრის ელჩთან.

მეგრეტარო, 17 ივნისს 1867 წელს.

„საყვარელო ბარონო ლავო! მე ვავათვე ჩემი საქმე ამ ქვეყანასთან. მხლა ეს და არის ჩემი ჯავრი, რომ ჩემი სხეული, რომელიც ჩქარა მორჩება ამ ამაო სოფელს, არ დაიკარგოს და რომელნიც ცოცხლები დარჩებიან, ისინი უნებლათ დარჩნენ. ჩემმა დოქტორმა, უფ. ბაშმა ჩემი სხეული შერა-პრუტში გადაიტანოს. შადატანაზედ მხოლოდ ორი ჩემი მოსამსახურე მულოლი და ტიულორა წაიყვანოს. მე ვუბძანე, რომ ჩემი სხეულის გადატანის დროს არაფერი მორთულობა და ცერემონია არ იყოს, და იმ გემზედაც, რომელიც ჩემს სხეულს შერაპაში წაიღებს, არაფერი განსაკუთრებითი ცერემონია არ იყოს. მე გულმშვიდით მოველი სიკვდილს და მსურს, რომ ესრეთვე გულ-დამშვიდებული ჩაეწვე კუბოში. მკადეთ, საყვარელო ბარონო, რომ დოქტორს ბაშს და ორს ჩემს მოსამსახურეებს, რომლებიც ჩემი სხეულის მცველებათ იქნებიან, ნება მისცენ თან გაჰყენენ ჩემს სხეულს, როდესაც ერთი საომარი ხომალდი წაიღებს იმას შერაპაში. მე მინდა, რომ ჩემი უბედური ცოლის გვერდით დავიმარხო. თუ ჩემი ცოლის სიკვდილი ტყუილი გამოდგა, ნუ დამმარხვენ მიწაში, მინამ ჩემი მუელ-

ლე არ მოკვდება. მაისარჯეთ მისცეთ, როგორც ჩივი იყოს, ბძანება, კაპიტანს შერელოვს. მაისარჯეთ ეგრეთვე, ლოქი, ჩემი ერთგულის ამხანაგის, მირამონის, ქერიეს ნება მისცენ სამხედრო ხომალდით შერაპაში დაბრუნდეს. მე ვიმედოვნებ, რომ ამ ჩემს თხოვნას დასრულებთ, ამისთვის უფრო, რომ მირამონის ქერიეს მივანდე მენაში დედაჩემთან იცხოვროს. შამდლობთ ყოველის გულით შრომისათვის, რომელიც თქვენ ჩემთვის გასწიეთ და დაეშთები თქვენდამი კეთილ-მოსურნე მაქსიმილიანე.

სხვა და სხვა ამბავი.

დოქტორი, ამერიკელი ქალი, ანა დენემო რი. ჯერ მისი მერი შოკერს (ქალი) ატლანტიკის ოკეანი არ გაველო და მერობიდან თავისს სამშობლოში არ დაბრუნებულეთო; რომ ანგლიაში კიდევ მოვიდა ამერიკიდან მითი დოქტორი ქალი. დოქტორი ანა დენემო რი სადღეაყო მდიციის კოლეჯის აქუშერობის (საბეზოს) პროფესორია ნუ-იორკში, და იხეთი აქიომბის ალავი უჭირავს, რომ ბევრს დოქტორს კაცს შეშურდება. ანა დენემო რი კაცური ტანისამოსი არ აცვია და არც შეკრებობაში ყოფნა უყვარს. მანთქმულინ ექიმები ამბობენ, რომ ამ ქალმა თავისი საქმე ძლიერ კარგათ იცისო. ანა დენემო რი ფრად საამო შეხედულობისა არის.

ბ ე ლ ე ბ რ ა მ მ ე ბ ი,
პეტერბურგში მიღებული.

ათინა, 24 სექტემბერს (6 ოკტომბერს). მანდიის სახალხო კრებამ უცხო-ქვეყნის კანსულებს გამოუცხადა მანეაში, რომ ის უარ-ჰყოფს სულთანის მოწყალებას, რომელიც იმან მანდიის მიანიჭა.

მენა, 25 სექტემბერს (7 ოკტომბერს) მენის მაზეთში „სალამოს ფოჩტა“ დაბეჭდილია შემდგომი ტელეგრამა რომიდან, 24 სექტემბერს (6 ოკტომბერს) გამოგზავნილი: არგვის ახლოს ინსურგენტები ახლათ შეეიენენ პაპის სამფლობელოს. ზუშინ შემდეგ თავგანწირულის ბრძოლისა პაპის ჯარმა ბანირე ხელ-მეორეთ დაიპყრა. ამ ბრძოლაში მარბალდის მომხრეებს შეიდი კაცი მოუტყდათ და ასი კაცი ტყვეთ წაერთვათ. სხვა ალაგებშიაც გამარჯვება პაპის ჯარს დარჩა. რომის სამფლობელოს შუა-გულს ადგილებში შესახებ ხალხის ადგომისა არა ისმის რა. მცხოვრებლები ყველგან პაპის მმართველობის ერთ გულობას იჩენენ.

პარიში, 25 სექტემბერს (7 ოკტომბერს). ახლა იქვე აღარ არის, რომ მარკიზი ლ-ვალეტი უცხო-ქვეყნის საქმეების მინისტრათ დაინიშნება მარკიზ მუტიეს ალავას.

შლორენცია, 21 სექტემბერს (3 ოკტომბერს). მაზეთში „Diritto“ სწერენ, რომ მარბალდი პარკრის კუნძულიდან ლივორნოში გამგზავრდა, მაგრამ გზაში შეაყენეს და უკანვე წამოიყვანეს პარკრის კუნძულზედ. მხლა კუნძულს ყარაულათ ადგია სამხედრო ცეცხლის გემი—„მასლორატორე“.

მადრიდი, 21 სექტემბერს (3 ოკტომბერს). მმართველობამ გამოუცხადა ჟურნალების და გაზეთების უმთავრეს რედაქტორებს, რომ განზრახვა გვაქვსო ისპანიში ბეჭდვას შელავათი მიეცეთო, თუ დრო ნებას მოგვეცემსო.

პრემიის უკანასკნელი მანიფესტი ისპანიში, საზოგადოთ რომ ავიდოთ, ცუდათ მიიღეს.

ბარლინი, 22 სექტემბერს (4 ოკტომბერს). იმპერატორი ნაპოლეონის აღუტანტს, გენერალს შლორს ხანგრძლივი მოლაპარაკება ჰქონდა გენერალ-ადუტანტთან, გრაფს შუვალოვთან.

Journal de S.-Peterburg-ში დაბეჭდილია შემდგომი ტელეგრამა:

ათინა, 21 სექტემბერს (3 ოკტომბერს) მანდიის კუნძულიდან 18 (30) სექტემბერს გვაცნობენ, რომ პრეტის სახალხო კრებამ უარ-ჰყო მსმალეთის მმართვე-

ლობის წინადადება და ეს უკანასკნელი თვისი გადაწყვეტილებით უცხო-ქვეყნის კონსულებს გამოუცხადა. ის კუნძულის ნაწილი, რომელიც მსმალეთის ჯარს უჭირავს, კრიტიკებმა გარს შემოზღუდეს—ჯარი შემოართყეს. ხალხი ისევ ამდგარია. აღმოსავლეთის მხარეებში რამდენსამე ალაგას მოხდა ომი. ბანდოგომილების სიმხნემ მუსულმანები ძლიერ შეაშინა. მეგობრის ვიცი—კაროლის ბძინებით მეგობრის ხუთი ათასი ჯარი მოემზადა მანდიის კუნძულიდან მეგობრებში წასასვლელათ. მთმცა მმერ-ფაშამ სთხოვა, რომ არ წაეიდნენ, მაგრამ მანც მიდიან.

ტფილისში მიღებული.

პეტერბურში, 9 ოკტომბერს. გამოცხადდა უმაღლესად დამტიკებული მორიგება, რომლის ძალით ჩრდილოეთ-ამერიკის შტატებს დაეთმოთ რუს—ამერიკელი კოლონიები. შტატები ამაში აძლევენ რუსეთს შეიღის მილიონდოლოარს ოკროთი. ამ გაყიდულის კალონიების მცხოვრებნი, უნდათ, იქვე დარჩებიან და თუ არა, შეუძლიანთ სამის წლის განმავლობაში რუსეთს გადმოეხსლონ.—ღიდის ვენიჩის ალი-ფაშის კითხვაზე, ყველა კანდიელი განდგომილების მოთავეებმა მოითხოვეს კუნძულის შეერთება საბერძნეთთან. მსმალეთის მთავრობა ჰგზავნის ახალს ჯარს მანდიამი.

ვაი ჰაუსისგან.

შე ათას კაცს ვკითხე და ვთხოვე, რომ ეს ცრუ მოარწმუნება ჩემთვის დაწერილებით ეაზნათ. ღმერთმან უშველორ: მათ მიამბეს და მე ვპოვე მისი საფუძველი კაცისაგან თვისი თავ-დაცვაში ანუ ცხოვრების სიყვარულში. ძაცს თავისი თავი უყვარს, მსურს მის ცხოვრებას მავნებელი მიზეზი წინ არ წარმოუდგეს; ამისა გამო უბედურება რომ ეწვევა, მაშინ თავის განთავისუფლებისათვის უსიამოვნებისაგან, ის იგონებს სხვა და სხვა მხეცურს ცრუ-მოარწმუნებაებს, რომლითაც იმას ჰგონია იარხინებს თავის სიცოცხლეს. აი, მაგალითებრ, ეს მოხსენებული ცრუ-მოარწმუნება როგორ წარმომდგარა. როდესაც რომელსამე ჭირისაგან ერთ სოფელში ხალხი წახდება, ხოლო სხვა სოფლებში კი არაფერი ჭირიანობა ქმნება, მაშინ ინგილოები უთუოთ იფიქრებენ: „სამარეში ავი სული კაცი გაცოცხლებულა და თავისით ხალხი იხორცება; თუ არა და სხვა სოფლებში რატომ არ არის სიკვდილიო.“ იმათ აზრით ვითომც ეს გაცოცხლებული მკვდარი ღამე ამოძერება სამაროდამ, კარ-და-კარ ივლის სოფელში და ვინც მსურს, იმაზე თავის ბრახინს ცოდვილს ნაღველს გახეთქავს და მოჰკლავს. ამის გამო, როგორც კი გავრცელდება ჭირი სოფელში, ინგილოები, ვინც უფრო მიღებულნი კაცებია თავიანთ შორის, იანგარიშებენ: ვინ იყო ცოდვილი და ბრახინი სული და ვინა და ვინ გაშინჯონ სამარეში. პირველათ ვინც დახლიან ახლანდელს ჭირიანობაში, იმათ სამარეებს თავი უჭირთ. მქვისოდე სამარეს ახლიან და გაშინჯვენ ხომ არ გაცოცხლებულაო. წარსულს წელიწადში შორაზანში ხალხი ბევრი იხორცებოდა. ამისათვის ერთს დღეს მოვიდა ჩემსას სოფლის ნაცვალი და მითხრა „მღვდელიო, რა ექნათ, რომ ჩვენ სოფელში ხალხი ბევრი იხორცებოდა.“

— მე ვუპასუხე: ზაქათალაში წადით და ექიმი მოიყვანეთ, რომ უშველოს ავთამყოფებს.—მქიმს არ შეუძლიან შევლა, წამოროვა მან.—მე ამის მიზეზი ვკითხე და იმან მითხრა: „მილაცა მკვდარი გაცოცხლებულაო და ამისათვის ხალხი იხორცებოდა.“ მე ბევრი ვლაპარაკე, რომ ეს შეუძლებელია ბუნებისაგან, მაგრამ იმან არ შეისმინა ჩემი ნათქვამი. ბევრი საბუთები წარმოუდგინე, რომ მკვდარს კაცს გაცოცხლება აღარ შეუძლიან, მაგრამ ის მაინც თავისას არ იზლიდა და მუდამ იმას ამ-

ბობდა: „მხლანდელი ხალხი უწინდელს ხალხზე ხომ ჰკუვიანარ არ არისო, რომ მაგას ბძინებოთ. ჩვენ მამა—პაპას ჩვენთვის უთქვამსო, რომ დედა-მიწა ცოდვილს კაცს და გველს მიწაში არ ჩაუშვებსო, ამოაგდებს სამარის პირზე, გაცოცხლებს და ღამ ღამე სოფელში კარ-და-კარ აწინწალებს და რომელ ოჯახსაც მიაფურთხებს თავის ბრახს, იქ უთუოთ ვინმე მოკვდება. აი ესლაც უთუოთ ვინმე გაცოცხლებულა და ამისათვის იხორცება ხალხი, ამას ექიმი ვერ უშველის თავის წამლებით. იმ მკვდრის სამარე უთუოთ უნდა ახლად და ის შიგ ბარით დაიკლას, მაშინ თუ ეშველება სოფელს, თორემ ხალხი ერთს წლამდის დაიხორცება. ჩვენს მამა პაპას ჩვენთვის ასე უთქვამს და მართლაც არის.“ მამ როგორღა გსურთ, რომ მოიქცეთ ვკითხე მე;—„სამარე უნდა აეხადოთ,“ მიპასუხა.—რას სულელობ. რაიცი რომელი მცხედარი გაცოცხლებულა, რომ ამბობ „სამარე უნდა აეხადოთ,“ გჯავაერებით ესტყვი;—„მაგისი შეტყობაც ვიცი-თო,“ წამოიძახა იმან. მს რომ სტქვა მე ყურები გავაკტივებ და ვკითხე: რით შეუძლიან შეიტყოს.“—ამ გვარი შემთხვევაში ჩვენ მოვძებნით შავს ცხენს და შევცვათ ზედ ერთს კაცს, რომელიც მიიყვანს ამ ცხენს და ახლდასფლავებულის მკვდრების სამარეებზე გადაატარებს, და აი მაშინ, რომელი მკვდარიც გაცოცხლებულა, იმის სამარეზე ცხენი არ გადივლის, ამისათვის, რომ ამ შემთხვევაში ცხენი გულთმისანი ჰხდება,“—მითხრა იმან. მე რე მოჰყვა ლაპარაკს, რომ ამ გვართ ძლიერ ბევრჯერ შეუტყვიათ მკვდრის გაცოცხლება სამარეში, აუხდიათ და ბარით დაუკლავთ, რადგან მას სოფელი უზარალებია; სტქვა რამდენიმე მაგალითი მომხდარი უწინ და ერთიც თავის ხსოვრობაში. მე ცნობის მოყვარებამ გამიტაცა და ვთუხარი: მთუ მეც წამიყვანთ და მაჩვენებთ თქვენი ნებაა. მაგრამ ეს საქმე იმათ დიშალეს ჯერ ამისათვის, რომ მუსულმანებს შეეშინდათ: ვაი თუ ამ გვარი გასაკიცხავი ავი ბრახინი სული ჩვენში გამოჩნდესო; ქრისტიანებს კიდე თავისი შეეშინდათ. მართის სიტყვით, ყორანდელებს სხვა და სხვა სარწმუნოებამ დაუშალათ ამ განზრახვის ასრულება. მაგრამ ვერ დააბრკოლა სოფლის შოთოკლოს ხალხის წადილი, რადგან აქყველა ქრისტიანია. წარსულს წელიწადს, თებერვალში, შოთოკლოში რამდენიმე კაცი მოკვდა და ავთამყოფობა გახშირდა; სხვაგან მშვიდობიანობა იყო. ამისა გამო ხალხი მოიგონათავისი ცრუ-მოარწმუნება. მოჰხდა სოფლობა და გადასწყვიტეს საფლავების გაშინჯვა, რაც განზრახვის კიდეც ასრულეს. ნაცვალმა თურმე გაგზავნა ერთი ორი კაცი აეხადნათ სამარე ერთი მოხუცებული კაცისა, რომელიც აესულათ ეგულდებოდათ, რადგან მას ვითომც ხელმეორეთ კბილები ამოსელოდა. მაგრამ იმდენი სიცოცხლე და მშვიდობა თქვენა გქონდეთ, მკითხველო, რაც ის იქ ცოცხალი არ დაჰხვედროდეთ. მიცვალვების პატრონებს ეს ცილისწამება ძლიერ ეწყინათ და დააპირეს ჩივილი, მაგრამ დიდს ხეწწნით და მუდარებით ძლიერ ისინი დაემშვიდებინათ.

მს ამბავი მიამბო ადგილობრივმა მღვდელმა, მაშინვე რაწამს შეეტყო, მაგრამ რადგან მას ვერ დაეწერა წერილი, ამისათვის მე ეს ძეგთქოთოკლოვლებს მოვკითხე და იმათაც დაამტიკეს.

ინგილოები ამბობენ, რომ ამისთანა სოფელი არ არისო ზაქათალის მხარეში, რომ ეს ამბავი არ მომხდარ იყოსო. მართლაც, ამ ორ სამს დღეში მე ზაქათალაში ვიყავი, ჩივლების თავვეთვის და სამარების ახდის ისტორია მრავალს ვუთხარი, ამისგამო ერთი წარჩინებული ზაქათალის საზოგადოებისა მოჰყვა ლაპარაკსა, რომ ამ ახლო ხანში ხმა დაადგესო, ვითომც ს.ა.ფ. ალიბაბაში ერთი მოხუცებული კაცი ამომძერალიყოს სამარედამ, ეარჩოს ღამ-ღამე სოფელში და ეშინებინოს

ხალხი, რისგამო ვითომც სოფლის ხალხს ეთხოვნოს იმის პატრონებისათვის, რომ ის მოკლან.

მოავსენებ მკითხველს კიდეც ასიღამ მხოლოდ ერთს მაგალითს, რომელიც მომხდარა წარსულ წელიწადს თებერვლის თვეს თვით ნათესავეებში. ღედაკაცს შეილი ეშობნა უსულლოთ, მაგრამ ვინ იცის იქნება ცოცხალ—მკვდარიც იყო. მშობიარე ძლიერ მწუხარეთ ყოფილა, ამისგამო ზემოთ მოხსენებულის მიზეზისათვის სამ დღე და ღამე გვეჯასქვეშ ამოდებული ჰყოლოდათ და მერე დაესაფლავებინათ კისრის მოუყვეთელათ, რადგან სიცოცხლის ნიშანი არ შეჰტყობია. მს ამბავი მიამბო მე დედამ ორს კვირას შემდეგ, როდესაც მე მოვკითხე ეს ჩვეულება.

ჩვენ ესტყვით, რომ ინგილოები ცრუმორწმუნებით ამბობენო, რომ ავი სული კაცი სიკვდილს შემდეგ სამარეში ცოცხლდება და ღითათ აზარალებს იმ სოფელს, რომლიდამაც თვითონ იყო. ამ გაცოცხლებას ცოცხალს ახლანა უნდა, თორემ მკითხველი ნამდვილს აზრით მკვდარი მართლაც სამარეში გაცოცხლდება, ამომძერება და დაიწყებს სიარულს, მაგრამ ღამით; დღისით ისევ სამარეში ჩაწვება, სადაც სული შეუგუბდება, ჭარხალსავით გაწითლდება; სუდარას დაუწყებს ჭამას. (მსენი ტალოში გაახვევენ მიცვალვებს, მერე ზედ გაცკრავენ და ისე ტანისამოსით დასაფლავებენ, სიცოფით და სიბრახით ქაფს გადმოყრისო, კბილების ხრჩენას დაიწყებს, მაგრამ ლაპარაკი არ ეცოდინება. ღამე კი კიდეც ლაპარაკობს და კიდეც დადის სახლ და სახლ.) ამ გაცოცხლებულს ეძახიან „ხორტავს.“ აი ეს არის ინგილოს აზრით მკვდრის გაცოცხლება და მისი ცრუმორწმუნება.

შეკვილია, რომ ჩემ სტატისას სხვა და სხვა მიმართულების კაცები წაიკითხვენ. მართი წაიკითხავს დროების გასატარებლათ, მეორე გონების გასამდიდრებლათ და ახალი ცნობების მოსაპოვებლათ. მს კიდეც არაფერი: ის მეორე მოითხოვს საზოგადოების სარგებლობას.

ამის გამო აქამდის რომ წაიკითხავს, უთუოთ ისურვებს: ნეტავი შემატყობინა, რა ჰქონდა ამის დამწერს აზრი? რა სარგებლობა უნდოდა ავტორს ამით შეეძინა მკითხველებისათვის? „ღროების“ მკითხველებს ცრუმორწმუნობაებზე და აკლდათო, ამბობს ის კეთილ მოსურნე მკითხველი ოხვრით, და მადლობა ღმერთს ესენიც მოიპოვაო. მათი ბეჭედით „ღროებაში“ ზოგიერთ მკითხველებს უფრო გაუმრავლდებათ ცრუმორწმუნობაები, და არცკი დააკლდებო. მამებზე ლაპარაკი ჩვენთვის საჭირო არ არისო, ჩვენ დაგვიწერეთ ისეთი სტატიებიო, რომელიც ერთის მხრიდამ ჰქუა გონებას გეჩხნინდენო, მეორეს გვაძლევდენ სახსარს სიმდიდრე მოვიპოვოთო, რადგან სიმდიდრე არის დედაბოძი განათლების მოპოვებისა. ჩემო სასიკადულო მკითხველო, ამას შენ ძლიერ კარგათ ამბობ, თუ რომ შეგიძლიან მართლაც ფიქრი. მეც არა მსურდა ამებზე ლაპარაკი, რადგან ვიცი, რომ ერთ ანდაზისა არ იყოს, „მამაშობა სათლათ არა ღირს,“ არა ღირს ამისათვის, რომ ის განათლებულთაგანს არავის ეტაშინებო.—მაგრამ შენ სცდები ამისათვის, რომ ლიტერატურის მნიშვნელობა გესმის. ლიტერატურა არის სახსარი კაცის ცხოვრების აღწერისა და მის ჰქუა გონების გახსნილობის მაჩვენებელი. მოკლეთ რომ ეს თქვათ: ლიტერატურა არის ცხოვრება, რადგან იმას საქმე აქვს თვით ცხოვრებასთან და არა ილლუზიებთან. აი ამ საფუძველზე ეს სტატია შეგვატყობინებს ინგილოების ჰქუის ყალიბს, მათ გონების გახსნილობას და მათ ცხოვრების ლაფს. შენთვის ესეც კმარა, თუ შეიტყე. მწერლის ვალიც, სხვათა შორის, ის არის, რომ მან კერძო პირის ცხოვრება, თუ საზოგადოებისა, ყოველი ჰქუი და სიბილწე

ნათლათ წარუდგინოს მკითხველს. ამისათვის მე რომ ამ სტატისა ვწერდი, ნახე მწერლის მქონდა, რომ „ღროების“ მკითხველებს რომ მოდენათმე შეეტყოთ ინგილოს ჰქუა, მისი ცოდნა, მისი ცხოვრება მომავალს სიცოცხლეში; მერე ისა, რომ ერთი, თუ ორი ინგილო დაეაფიქრო, დაეაშლევინო ეს ცრუმორწმუნობა და ჩაეყენო გონიერულს ცხოვრების კვალში. მამასადამე მე მქონია სახეში ორგვარი სასარგებლო აზრი. მე თუ ეს აღვასრულე, ხერხიანათ დაეწერე და შეეატყობინე მკითხველს, მე მადლობელი ვიქმნები ჩემი თავისა.—

ძაცს, რომელსაც განათლებული გონება არა აქვს, არ იცის ფიქრი, ეჭვი, წუხილი არ ძებნის თავის ცხოვრებაში არავითარსა მიზანსა და აზრსა, ღრმა ძილითა ჰსძინავს და ცხოვრებს, როგორც მოჰხდება, ამასთანავე გამოტენილია მისი თავი ცრუმორწმუნობით; ამ გვარი კაცი, თუ ხალხი ჩემის აზრით, ავთამყოფი არის, და მას წამლობა უნდა. მამასადამე, ვიდრე წამლობას დაუწყებდეთ, ავთამყოფის ჭირის შეტყობაც უნდა. მს ექიმის ვალია და მწერალიც ერთგვართ ექიმია, და თუ ბევრი მათში მის თანამდებობას ვერ ასრულებს, ამის მიზეზნი თვითონ არიან, და არა მათი დანიშნულება. როდესაც ჩვენ დაწერილებით შევიტყობთ, როგორ ჰფიქრობენ ინგილოები, რა ჰქუი და სიბილწე აქეთ, როგორ იტანჯებიან და რისა გამო როგორ უყვართ ერთმანერთი, ფხვს სად წამოჰკრავენ ხოლმე და სად იქცევიან, ერთის სიტყვით, თითებზე ჩამოსთვლით ყოველს მათს ცხოვრების ლაფს, მაშინ ნება გვექნება ავთამყოფს ვუწამლოთ და იმედიც ვიქონიოთ, რომ ავთამყოფს წამალი წამლათ გადაექცევა. მს არის პირდაპირი ვალი ლიტერატურისა. ლიტერატურამ უნდა ჩამოთვალოს კაცის ცხოვრებაში მყოფი მოვლინებები, დაანახოს მკითხველს მისი ცხოვრების ჰქუი, სიმურტლე და სიმყარლე. შეაზიზლოს ეს ამგვარი ცხოვრება და მოაძებნინოს ახალი, უფრო უყეთესი. ამ გვართ ეს საზოგადოების ცხოვრების ფიზიოლოგია მარგებელი იქმნება.

ბოლოს და ბოლოს მე ჩემს მოწინააღმდეგე მკითხველს იმას ვეტყვი, რომ ყოველი გონიერი მწერალი უნდა ცდილობდეს, რომ ყოველს გვარსა ცრუმორწმუნობას ბოლო მოუღოს, ამისათვის, რომ, ჩემის აზრით, ვიდრე ესენი არსებობენ კაცობრიობაში მის თვითოეულს წვერს განათლება გარს ვერ მოიციავს. სწორეთ ამ გვარის მაგამარობის ჟამს, ძლიერ სასარგებლო იქმნება, რომ მწერალი ცდილობდეს საზოგადოების ყურადღება მიაკციოს იმ ხალხის ცხოვრებას, რომელიც უზრუნველათ და დაუფიქრებლათ მიერეკებიან თავის სიცოცხლეს, ამისათვის რომ ამ გვარ ცხოვრებაში, ხალხის ზნებაში და ჩვეულებაში, შეხედულებაში და შეგნებაში, შეგუფებულია მისი ცრუმორწმუნება და ყოველი მის ცხოვრებაში მყოფი ურიგობა, რომელნიც ძლიერ აბრკოლებენ ხალხის განათლებას. მაშინ თუ შეირყევა კაცის ტვინი და დაიწყებს მოქმედებას!

ხა. ხა. ხა, ვგონებ გაიხარხარა მკითხველმა და თავის სიცილში გამოხატა: „ხედავთ, ავტორს პრეტენზია ჰქონია, რომ ხალხს სარგებლობა მოუტანოს თავის მწერლებით.“ ღიად, მაქვს. შეუწურია მწერალი, რომელსაც ამის იმედი არა აქვს და სწერს კი. მე შენ გამოჯავრებული ერთ ცრუმორწმუნებას კიდეც აწერე, რადგან იმისი ამოკვეთაც, ჩემის აზრით, ძლიერ საჭიროა.

ღიდნანს უბრძოლნით ერთმანერთან უმეცრებას და მეცნიერებას. ღიდი მწუხარება და ვაება გამოუვლია კაცობრიობას ამათ ურთიერთის ბრძოლაში. ძაცობრიობის ისტორია საეცა იმათ ბრძოლის მაგალითებითა. მრავალი სისხლი დაღვრილა უმეცრების მოწყალეებით; მრავალი კაცი აუტირებია მას. ბევრი

სალხი და სახელმწიფო თითქმის ხმის ამოუ-
ღებლათ ერთის ორაკულის წინასწარმეტყვე-
ბისა გამო დაპირილია თავის მტერს. მს
ბრძოლა მეცნიერებისა და უმეტერებისა კაცო-
ბრიობაში გამოიხატებოდა მის ცრუმორწმუნე-
ნებადებით. ძველებური მტეხიანელები, გალ-
ლები (ფრანკები) და არაბები ღმერთს კაცებს
ჰსწირავდნენ საღმთოთ. შინიკლებს ჰქონ-
დათ ღმერთს, სადაც ყმაწვილებს უკლა-
ვდნენ ღმერთს, რომ მან მოწყალეობის თეა-
ლით მოჰხედოს მათ. მე XVI და XVII საუ-
კუნოებში ჰრის. შობ. შემდეგ ქაჯები მოხ-
რაკა უმეტერებამ ცეცხლში, სადაც ერთ ორ-
სულს დედაკაცს მუცელი გაუსქდა და ჩვილი
ცეცხლიდან გარეთ გადმოგორდა, მაგრამ
კეთილმორწმუნება კათოლიკმა ხელმეორეთ
აიღო და ცეცხლის ალს მისცა, რადგან
დარწმუნებული იყო, რომ ჩვილი ეშმაკის შე-
ქნილია. აფრიკის და ავსტრალიის ველურს
ხალხებში ესლაც მოქმედებს ჩვეულება კაცე-
ბის ღმერთისათვის საღმთოთ შეწირვისა.

ესე მაიმუნსაგით ათამაშებდა კაცობრიობას
უმეტრება. ბოლოს და ბოლოს მეცნიერებამ
მას მისცა იმდენი სწავლა—ძალა, რომ მის
უმეტესს ნაწილმა, მის შემწეობით, მოიშორა
ცრუმორწმუნეობა. ინგილოებში ჯერ აქა-
მომდე ისე ერთგულათ მოქმედებს. მისი ქე-
უა ჯერ მათ მონებას ქვეშ იმყოფება.

აი ის ცრუმორწმუნეობა, რომელიც ამ ჟა-
მათ მე მსურს მკითხველს მოეხსენო. პეგლა
ინგილოსა აქვს ნაშობი ძივები. მს ძივები
არაან ზოგი კაკლის ოდენი, ზოგი თხილისა,
ზოგი უფრო დიდი. შერთ ზოგი ლურჯია,
ზოგი წითელია და ზოგი ყვითელი. ამ გვა-
რი ძივებს თათრები ტფილისის ბულვარზე
ჰყიდიან ხოლმე. ინგილოები ამბობენ ვით-
ომც ამ ძივებს სიკაცხლე ჰქონდეთ და მო-
ძრაობის ძალა აქენდეთ. მანეი მოიპოვებინა,
იმათი აზრით, მიწაში და ზოგი ერთი უფრო
კარგი კაცს რომ დანიხანეს, მაშინ გორავდეს
და იმალეობდეს, მისგან „ორი ამათი ერთმა-
ნერთს რომ შემოაზნდნენ, უთუთო წაიხსებ-
ბიანო,“ ამბობენ ისინი. ჩხუბში მათ ყოჩებსა-
ვით ერთმანერთისათვის ჯახება იციანო,
ან ერთი და ან მეორე უთუთო დაიმსხვრევა
და ჩხუბიც ამით გათავდება. „იმათ სიტყვით
ეს ჩხუბი ვითომც მრავალთ თვალთ ენახათ.
ამ ძივებს, იმათ აზრით, აქეთ ძალა
აბრეშუმის ჰიის დახოცვისა. ისინი ამბობენ:
„მს ძივი აბრეშუმის ჰიას რომ უჩვენო, იმ
წელიწადს აბრეშუმი არ მოუვა იმის პატრონს,
ამისათვის რომ ის ამას სულ დახოცავსო.“

შეჩვენება ამ გვართ ასრულდება. პატრო-
ნი აიღებს ძივს, ჩასდებს ან ქილაში, ან ხე-
ლადაში, ან სტაქანში, წავა ვისაც მტრობს,
იმის მამულს გარეშეშეშე მომუტრიალებს ძივს
და მერე იმავე მამულში დამარხავს მიწაში
(ქილითვე). ამას ეძახიან „შეჩვენებას.“ ამ
შეჩვენებას ისე სხვა საქმეზე არა ხმარობენ,
როგორც აბრეშუმის ჰიის წასახდენათ, რად-
გან აქაურს კაცს უფრო აბრეშუმიდამა აქვს
მოგება 200 მან. 400 მანეთამდე. შეჩვენებას
შემდეგ მტერი ღიდათ იმედოვნებს, რომ იმ-
ის მტერს უთუთო ფუჭათ ჩაუვლის შრომა.

მს ცრუმორწმუნეობა ყველა ამ ზაქათალის
მაზრაში მცხოვრებს ხალხებში მოდებულია,
მაგრამ მე რაც ინგილოების ცხოვრებაში მი-
ნახავს მომხდარი იმას მოეხსენებ მკითხველს.

რომელ ინგილოსაც აბრეშუმი არ მოუვა,
მაშინ ის მოხსენებულს ცრუმორწმუნეობის
საფუძველზე, ვინც უფრო თავის მტრათ ეგუ-
ლება, იმას დააბრალებს, რომ იმან ძივი შე-
მომიჩვენაო. ამისა გამო გადიკიდებინა მეზო-
ბლები და მათ შორის მოხდება სიბუდილი,
მერე რა გვარი: ამ საქმეზე თუ ესენი ერთმა-
ნერთს გადაეკიდნენ, აღარ დასდვენ არც
ფიცს, არც კაცის კვლას და არც სახლების
დაწვას. მე არსად შემიტყვია, რომ ამ გვარ

ცრუმორწმუნეობისათვის ხალხში, ან უკეთა
ესთქათ სოფლებში, მეზობელი მეზობელსა
მტრობდეს, ძმა ძმაზე იწვედეს მოსაკლავათ.
მე ძლიერ მივირს და ვოცდები, როდესაც
ამ გვარ საძაგელს საქმეებს ვიტყობ. მსვე და-
ვი დარაბა მოვლის იმ კაცს, რომელსაც აბ-
რეშუმი კარგათ მოსდის. ამ შემთხვევაში ამ-
ბობენ, რომ იმას კარგი ძივი აქვსო, რომე-
ლიც არ უშვებს სხვა შემოჩვენებულს ძივს,
რომ იმის პატრონის აბრეშუმის მოსავალს აე-
ნის. ამისათვის დაუწყებენ ჩხუბს და თხო-
ნას—მოიტა ის დაეპატრონოთ ან მოეხარ-
შოთო, რომ ის მოკვდესო.

ამ ცრუმორწმუნეობის ნაყოფს და ყოვე-
ლის ფერის მოხსენებულის დასამტკიცებლათ
მე ვაზეთის მკითხველებს მოეხსენებ ერთ სა-
მწუხარო ამბავს, რომელიც ბევრს კეთილ-
მოაზრეს დააფიქრებს და აუმღრესს გულს.
ამბავი იმაში მდგომარეობს, თუ ვითარ ისარ-
გებლა ამ ცრუმორწმუნეობით ერთმა წუწკმა
მოუნათლაემა ინგილომ. მართული გვარი ამისა
ს...მაგრამ თათრულათ ეძახიან ჯ...სხოვრებს
სოფელს ლალა-ფაშაში. აცხებულებით არის მა-
ლალი, გამხარი, სახე ისე შეჰცვლია, რომ
მას ქართული სახე სრულებით აღარა აქვს.
ლესაც არა ჰგავს. უფრო მუღილის გაყვით-
ლებული ფერი აქვს.

ჯ... არის ძლიერ ღარიბი კაცი. ამასთანავე
ღიდი ვალები ჰმართებს. როდესაც სიღარიბეს
და მოვალეობს ის ძლიერ შეუწყუბნით, მაშინ
დაუწყია ფიქრი გამდიდრებისათვის და ვა-
ლების მოსაშორებლათ. ილა აი გამდიდრების
სახსრათ იმას მოუგონია მკითხაობა. რომ და-
არწმუნოს ხალხი თავის კითხაობაში, ის გა-
გებ ჯერ ავთ გამხდარა, მერე სამი დღეს
თავი მოუშვებდა. ხალხს ის ცოცხალ
მკვდარი ჰგონებია. სამის დღის შემდეგ იმას
გამოუღვიძნია და გამოუცხადებია, რომ „მას
ღმერთმან ზეცილამ ანგელოზი მოუვლინა,
რომელმაც მას გაუხსნა გული და მიანიჭა
გულთმისნობა,“ ესე იგა ნიჭი ყოველს ფერ-
ის უცნაურის შეტყობისა. ხალხი მას დარწ-
მუნებია, რადგან ჰჯერა, რომ ზოგი ერთი
ღმერთის ნანდომი კაცი უდროით მოკვდება,
ანგელოზები ყველაფერს აჩვენებენ საიქიოს
და მისცემენ რასმე ბედნიერებას. მაშასადამე
ჯ... ღიდი შრომა არ უნდოდა, რომ ის ხალ-
ხისათვის გულთმისანი მკითხავი გამხდარიყო.

ხალხმა დაიწყა მასთან სიარული თავის ბე-
დის შესატყობლათ. მან თავის გულთმისნო-
ბით გამოიცნა უცნაური და გამოართვა სას-
ყიდელი, თავის გასამრჯელოში. იმას ახლა კარ-
გი სახსარი ჰქონდა ხელში თავის გასამდი-
რებლათ. შული ბევრი მოჰკრიფა მკითხაობით,
მაგრამ იმას ასეთი ვალი სდებია კისერზე, რომ
ოცი თუმანი, თუ ოცდა ათი ვერას უშე-
ლიდა იმის ღარიბს მდგომარეობას. იმას უნ-
და ეშოვნა იმდენი ფული, რომ იმით ლუკმა
პურიც ეშოვნა და ვალებიც მოეშორებინა.
ლა აი ამისათვის ის შოულობს იმ ძივებს,
რომლებს მანებელი ძალაც აბრეშუმის ჰი-
ისათვის მე მკითხველო ზემოთ მოეხსენე.
ის შოულობს ორას სამას მარცვლადის ამ
ძივებისას, მერე თითო ან ოროს სდებს პი-
რებს დამტყრულს სტაქანში, ქილებში და
ხელადებში და ჩაჰფლავს რამდენსამე სოფლე-
ბში იმ კაცების მამულში, რომლებსაც აბრე-
შუმი არ მოსდით. მს ყველაფერი თავისივე
ხელით გაუკეთებია, რადგან თვითონვე კარ-
გათ სცოდნია თავისი ამბავი, რომ სხვის და-
მალულს ის ვერ იპოვის, თუ მას არ უჩვენეს.

ამ გვარი ოინი უყო ყორალნელებსაც, რომე-
ლიც ჩემი სამრევლოა. 1865 წელს იმან თუ-
რმე გამოუცხადა შორალანში ერთს ორმოცს
კომლს, რომ ის ამოიღებს იმათ მამულებში
მტრისაგან ჩარგულის ქილებით ძივებს, რომ-
ლების მიცემული ზარალიც მათთვის უამბ-
ნია, მაგრამ იმ პირობით, ვინც იმას ოთხ თუ-

მნიდამ, რეა თუმნადინ მისცემს. ისინი ამ პი-
რობაზე მაშინვე თანახმა გამხდარან, რადგან
ამ გვარს კაცებს ერთს ფილოსოფოსსავით სა-
ნთლით ეძებენ.

ჯ... თავისი სამოქმედო ასპარეზი მოამზადა,
ხალხის უმეტერების გამოხსახებლათ და ფულე-
ბის მოსაპოვებლათ. მაგრამ მას თანაშემწეები
აკლდა. ისინიც იშოვნა იმ სოფლებშივე, რომ-
ლებსისათვისაც იმას თავის მაცდურებით ჰსურ-
და თავი დაეკრა და ფულები მოეგო. მოგე-
ბის ნახევარი თანაშემწეებისათვის მიუტია.
შორალანში მას ამხანაგათ ჰყოლია ქრისტიან-
ი ს... რომელსაც უფრო დიდი ვერაგობა
გაუწევია. ამას თავისივე ხელით თავის და
მეზობლის მამულის მიჯნაზე ძივები დაუმარ-
ხავს, მერე მოუყვანია ჯ... რამდენიმე კაცის
ზედ დასწრებით ისინი ამოუღებინებია მიწი-
დან, და როგორც წინათვე პირობა ჰქონიათ,
მათი შეჩვენება, მკითხავს ს... მეზობლისათვის
დაუბრალებია, რადგან ის ამ უკანასკნელის
მტერი ყოფილა. მს ამბავი ყველას შეუტყვია.
ს... თავის მეზობელზე ნ... ნაცვალთან
უჩივლინია, რომ „მას მისთვის ძივები შეუჩვენ-
ებია და აი ამისთვის შეიდი რეა წელიწადია,
რაც მას აბრეშუმი არ მოსდის; ის ახლა მისი
მოსისლვა და ამისთვის მან სისხლის უფასო
უნდა გადახდოს მას.“ აბა რასაკვირველია,
რომ ნ... არც ექმნა და არც ამას აიკისრებდა. მა-
შინ იმან ნ... თორმეტი კაცი მოსთხოვა,
რომ მათ ფიცით დაუმტკიცონ ს... რომ ნ...
არცა აქვს ეს ძივები და არც არაოდეს ისინი
მისთვის არ შეუჩვენებია. მაგრამ, როდესაც
მან მოიყვანა კაცები დასაფიცებლათ, მაშინ,
რადგან იცოდა ს... თავისი ვერაგობა, ყველა-
სგან ხელი აიღო, და დააფიცა ნ... და ისაკი,
მისი ძმა, მაგრამ ისე კი არა, რომ ძივები ამო-
ღებული მათი ჩარგმული არ იყოს, არამედ
ისე, რომ მათ არცა ჰქონდეთ და არც მის-
თვის ისინი როდისმე შეჩვენებინათ. ამ
გვართ ცხიერმა. ს... შიშისა გამო, ეს ორი
ძმა კულ უბრალოდ დააფიცა სრულებით სხვა
საქმისთვის, სხვა კითხავზე, რომ უბრალო მიზე-
ვისათვის, რომ მას აბრეშუმი მოსდის, იმას კი
არა. ამ ფიცით საქმე დაშოშმანდა, მაგრამ
ერთმანერთზე საცემათ, ლანძღვა და წყევლა
ესლაც მათ შორის მოქმედებს. მს ამბავები
მომხდარა ჩემს მოადგილეს დროს, რომელიც
შემდეგში მე მაჯერებდა, რომ ჯ... მართლაც
გულთმისანია. ამ ფიცმა ხალხი მტკიცეთ და-
არწმუნა, რომ ჯ... გულთმისანია. ის ფიქრო-
ბდა, რომ თუ იმას მართლაც არა სცოდნო-
დეს უცნაურის გამოცნობა, ს... რათ დაიფი-
ცებდა თავის მეზობლებსო. მაგრამ ხალხმა ის
კი არ იცოდა, რომ მას ჰსურდა მტკიცეთ
დარწმუნებოდა მკითხავის გულთმისნობას და
ამით ორივეს ესარგებლნათ. ხუმრობა ხომ
არ არის მონადგარის ნახევარი მისი (ს...) იყო.

(შემდეგი იქნება).

მ ლ ხ რ ე

როს ქირის-უფლად ვიყავ მწუხარე,
და სატრფო მელა კუბოში მკუდარი;
მაშინ მოვიხმე ჩემს მოზარე
და გათქმევიე კუბოზედ ზარი.
„პაი! ვის“ ხმა მისი მხეცური
მულს მიტანჯავდა, იყო უგვანი,
მაგრამ მე მაინც მიუგდე უური,
რადგან ჩემივე იყო ის ხანი.—

მოუწვეველად გაჩნდა მღერალი
და კახს მომადგა ჩანგ-მომართული;
მამოიჩინა მაგონობის ძალი:
„სალხინო“ სიტყვა მან ტბილი და სრული!
მაგრამ უდროოდ მისი ტბილი-სტვენა
და უდავლო მისი ჩანგური
მაკიცხვის ხმებთ მე მომეჩვენა
და მეც მას ნაცვლად ვუძღვენ პანდური!

როს უკადრისი პანდური მოხვდა
და ჩანაჩლითა განვლო ის არე, ქვეყნისული
ჩვენი მღერალი მაშინ კი მიხედვით უმეტი
მთუ რათ მერხია იმას მოზარე.—
შემდეგ ჩემისა იმ მწუხარების,
როდეს განვიდა დიდი დროება,
მითა წესია ჩვენი ბუნების,
მე მოვიქარვე ის მწუხარება.—
მოლხნით ვიყავ, მქონდა ქორწილი,
მხიარულდებდნენ ჩემი სტუმრები
ტბილი-ბასი და გულით სიცილი
მგვონდა, მვიმღერდნენ მჩანგურები.
ჩვენც ღმერთისადმი მოუყრებლად
მალა გვეხსნოდა, გვიდიდებოდა,
შეგმტევილით და ღმერთის მსხვერპლად
მგვანობაზე გული თითქოს დნებოდა.
ამ დროს მოგვადგა მოზარე კარხედ
და შესაზარი დაიწყო ზარი;
მთმც კარგს კილოზედ სიტყვა და კარგს გვარზედ,
მაგრამ მე მაინც ვუჩვენე კარი!...
მსთქვი: „ეს მეორეთ შემომოხანა!...
ნეტავ მთვრალია თუ გივი, ცეტი?“
მან გულ-მოსულმა ეს შემომძახა:
„მართველებსა ვარ მე პოეტო!“
ა. წერეთელი.

**ქარაოლობითი განცხადება.
რუსეთული ვალაზი-
ნი.**

მით წელიწადზედ მეტია, რაც გაიხსნა ჩე-
ენი მალაზინი და მუშაობს. ჩვენ ეყიდათ სხვა
და სხვა საქონელს, რუსეთში ნაკეთებს, ტანთ-
საცემლისათვის. რადგან გვესურს, რომ ჩვენი
ვაჭრობა უფრო მეტათ გავრცელდეს, ამისათ-
ვის ამ ცოტა ხანში მაკარიდგან მოვიტანეთ
ახალი საქონელი: ტრიკო, ღრაპი, ვიგონი,
მატყლის, ბამბის, კანაფის და ღაზლის (მატყ-
ლის ძაფის) ნივთეულობა, ჩითი, ტილო, სა-
ხელცახოცები, შეკერილი ქალის პალტოები
და სხვა. მგრეთვე მსურველთ შეუძლიანთ შე-
მოგვიცვეთონ ტანისამოსს მომზადება ქალე-
ბისათვის.

უასი ვადაპრილია და ამისათვის მომა-
ტება და დაკლება არ შეიძლება. რომ უფა-
ლნი მყიდველნი დარწმუნდნენ, თუ რა იაფათ
ისყიდება ჩვენი საქონელი და რა კარგი ღი-
რებისა არის, უმორჩილესათ ეთხოვთ უფალთ
მყიდველთ, საქონელი წაიღონ, გაშინჯონ და
თუ სხვაგან უფრო იაფათ იშოვნან იმას,
უკანვე დაგვიბრუნონ. შუღს მაშინვე მიიღ-
ებენ. ტფილისის მცხოვრებლებს ნება აქვთ
სამს დღეში დაგვიბრუნონ, ხოლო უცხო ქა-
ლაქელებს-ორი კვირის განმავლობაში.

რადგან ვაჭრობა ჩვენ ხელშია და ჩვენ თე-
თონ ვაჭრობთ, ამისათვის მუდამ ვცდილობთ
ისეთი საქონელი ვიქონიოთ და გავყიდოთ,
რაც აქაურს მხარეს შეგფერის და აქაურე-
ლებს მოეწონებათ. მაშასადამე, არ შეიძლე-
ბა, რომ მყიდველთ ჩვენი საქონელი არ მოი-
წონონ.
უცხო ქალაქში მცხოვრებლებს შეუძლი-
ანთ ნიმუშები დაიბარონ, რომელი ნივთისასაც
მოინდომებენ. ჩვენ ვკისრულობთ პირველი-
სავე ფორტით გაუგზავნოთ ნათხოვნი ნიმუ-
შები.

სამიზლიოზგრაფიო ცნობა.
ვეზხვის—ტაშოსანი. ახლად დაბეჭდილი
იყიდება ტფილისში ალადათოვისა, ბერენ-შ-
ტამისა და მნფიჯიანის საწიგნო მაგაზინებ-
ში. აგრეთვე მელიქიშვილის და კამპ. სტამ-
ბაში. უასი ათი შაური.—